

იქი მიმარ მიმარლიქ ინშაათ თააჰჰუთ თიჯარეთის საქართველოს
ფილიალის

2021 წლის ფინანსური ანგარიშგება



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	კომ.	31.12.21	31.12.20
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები		8,077.13	1,761,214.97
მოკლევადიანი მოთხოვნები	3	581,360.46	1,097,796.26
მარაგები		-	215,949.36
წინასწარ გაწეული ხარჯები		-	16,961.60
		589,437.59	3,091,922.19
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ძირითადი საშუალებები	4	1,059.66	40,695.05
		1,059.66	40,695.05
		590,497.25	3,132,617.24
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	5	24,522.52	629,585.90
საგადასახადო ვალდებულებები		41.45	251,130.47
		24,563.97	880,716.37
საკუთარი კაპიტალი			
რეზერვები და დაფინანსება		167,766.70	136,365.70
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		398,166.58	2,115,535.17
		565,933.28	2,251,900.87
		590,497.25	3,132,617.24

დირექტორი	ბუღალტერი	
ბ. შეშენ	მ. ჭელიძე	
საქმიანობის შედეგები		
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)		
	2021	2020
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	805,850.48	14,236,214.88
მომსახურების თვითღირებულება	(389,600.80)	(8,527,586.76)
საერთო მოგება	416,249.68	5,708,628.12
საპროცენტო შემოსავლები	260.53	-
სხვა შემოსავლები	62,443.01	1,846.69
დასაქმებულთა ანაზღაურება	(133,795.84)	(363,913.95)
ცვეთა და ამორტიზაცია	(907.27)	(10,184.78)
იჯარის ხარჯი	(1,679.29)	(29,507.67)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(5,306.39)	(52,569.64)
საოპერაციო მოგება	337,264.43	5,254,298.77
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(189,883.22)	(40,267.10)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	147,381.21	5,214,031.67
მოგების გადასახადი	(279,713.55)	(464,823.15)
წმინდა მოგება/(ზარალი)	(132,332.34)	4,749,208.52

დირექტორი	ბუღალტერი
ბ. შეშენ	მ. ჭელიძე



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

“იქი მიმარ მიმარლიქ ინშათ თააჰჰუთ თიჯარეთის საქართველოს ფილიალი” (ს/ნ 445577322, შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 2020 წლის 21 თებერვალს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის/რუსთაველის ქ. 1/25, ბ. 1.

კომპანიის მენეჯმენტი შედგება:

- დირექტორი - ბერქაი შეშენ

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო-სარემონტო საქმიანობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.



სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას



კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის



არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.21	31.12.20
სავაჭრო მოთხოვნები	581,123.55	1,066,750.61
გადახდილი ავანსები	236.91	31,045.65
	581,360.46	1,097,796.26

4. ძირითდი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	31.12.20	წმინდა ცვლილება	31.12.21
ისტორიული ღირებულება			
მანქანა-დანადგარები	8,029.83	(8,029.83)	-
ოფისის აღჭურვილობა	6,702.28	(5,046.56)	1,655.72
ავეჯი და ინვენტარი	7,385.51	(7,385.51)	-
სატრანსპორტო საშუალებები	28,762.21	(28,762.21)	-
	50,879.83	(49,224.11)	1,655.72
აკუმულირებული ცვეთა			
მანქანა-დანადგარები	(1,605.37)	1,605.37	-
ოფისის აღჭურვილობა	(1,341.46)	745.40	(596.06)
ავეჯი და ინვენტარი	(1,481.10)	1,481.10	-
სატრანსპორტო საშუალებები	(5,756.85)	5,756.85	-
	(10,184.78)	9,588.72	(596.06)
საბალანსო ღირებულება			
მანქანა-დანადგარები	6,424.46	(6,424.46)	-
ოფისის აღჭურვილობა	5,360.82	(4,301.16)	1,059.66
ავეჯი და ინვენტარი	5,904.41	(5,904.41)	-
სატრანსპორტო საშუალებები	23,005.36	(23,005.36)	-
	40,695.05	(39,635.39)	1,059.66

5. სავაჭრო ვალდებულებები

	31.12.21	31.12.20
მომწოდებლები	5,609.20	407,476.68
მიღებული ავანსები	-	78,414.84
საგარანტიო	18,913.32	143,694.38
ვალდებულებები	24,522.52	629,585.90

